ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 120 (18662) ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 26 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

პროტესტის მტკიცე ხმა

ᲓᲝᲚᲝ ᲖᲐᲠᲘ!

25 ᲛᲐᲘᲡᲘ რესპუბლიკის ყველა სკოლაში ტრადიციული უკანასკნელი ზარი აწკრიალდა. ქალაქებში, მთის სოფლებში, დაბებში მან სკოლასთან გამოსამშვიდობებელ გაკვეთილზე მიიწვია ათიათასობით უფროსკლასელი. კურსდამთავრებულებთან ერთად ამ საღღესასწაულო მომენტში ყველგან იყვნენ მათი საიმედო, მომთხოვნი და კეთილი მეგობრები და დამრიგებლები — მასწავლებლები, მშობლები, შეფები. ყველგან გაისმოდა ნორჩთა აღელვებული ხმები, რომლებიც მხურვალე მადლობას უხდიდნენ სკოლას იმ ღრმა ცოდნისათვის, რომელიც მან მათ მისცა, მეგობრობისათვის, აქ რომ ჩაისახა და განმტკიცდა.

დამოუკიდებელი ცხოვრების ზღურბლზე მდგომი თავიანთი აღსაზრდელების ბედით მამაშვილურად დაფიქრებული უფროსები ქალიშვილებსა და ჭაბუკებს გულითადად ულოცავდნენ გზას, უსურვებდნენ მამა-პაპათა დიდების ღირსეული მემკვიდრენი ყოფილყვნენ, განეგრძოთ მათი საქმე.

მათ წინაშე გადაშლილია ფართო გზა. მათი ცოდნა, გამრჯე ხელი სჭირდება მინდვრებსა და ქარხნებს, ლაბორატორიებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებს. ახალგაზრდებს ელიან დამკვრელური მშენებლობები — ყინვალის ჰიდროელექტროსადგური, მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზა, ბაიკალ-ამურის მmagისტრალი, არაშავიწყნიადაგიანი ზონა, ციმბირის ნავთობსადენები... იქითკენ! ხუთწლედის მოწინავე ხაზისაკენ მიისწრაფვიან 1983 წლის კურსდამთავრებულები. მათგან ნახევარზე მეტი სამუშაოდ წავა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

რესპუბლიკის ბევრ ქალაქში შექმნილ სასკოლათშორისო საწარმოო კომბინატებში, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებში ბავშვებმა აითვისეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისათვის საჭირო პროფესიები. ბევრი მეათეკლასელი კომკავშირული საგზურით სამუშაოდ წარმოებაში წავა, ხოლო თბილისის მუშა-ახალგაზრდების საღამოს 31-ე საშუალო სკოლის დაუსწრებელი კლასის კურსდამთავრებულებმა უკვე გადაწყვიტეს ყველაზე რთული საკითხი — რა პროფესია აირჩიონ? ისინი მუშაობენ მცირე მექანიზაციის მესამე ტრესტში და გამოსაშვები გამოცდების დამთავრების შემდეგ თავის სამუშაო ადგილს დაუბრუნდებიან.

წკრიალებს სკოლის უკანასკნელი ზარი. 17 წლის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს გამოსაშვები გამოცდები მოელით, ხოლო სკოლებმა უკვე გამოაცხადეს მოსამზადებელ და პირველ კლასებში მიღება. (საქინფორმი).

ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲮᲛᲐ

„ᲒᲝᲚᲝ მოეღოს გამალებულ შეიარაღებას!“, „თავიდან ავიცილოთ ბირთვული კატასტროფა“, „ვგმობთ ნატოს რაკეტულ გადაწყვეტილებებს“ — ეს მოწოდებები გაისმოდა 25 მაისს რესპუბლიკის მთავარ მოედანზე. დაახლოებით 20 ათასმა თბილისელმა მოიყარა თავი აქ მიტინგზე, რათა მტკიცე პროტესტი განეცხადებინა ომის წინააღმდეგ, გამოევლინებინა თავისი ნება მშვიდობისადმი, დაეგმოთ ისინი, ვინც ცდილობდა სამყარო ბირთვული კატასტროფის პირას მიეყვანა. ყველგან მოჩანს ტრანსპარანტები: „არ გვინდა ომი!“, „ხალხებს — მშვიდობა!“

დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტების განლაგების წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგი გახსნა საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ პროფესორმა ა. ალექსიძემ.

— ჩვენ შევეკრიბეთ აქ, რათა განვაცხადოთ, რომ ძლიერ ვართ შეშფოთებული რეიგანის ადმინისტრაციის აგრესიული კურსით, — თქვა მან.—კეთილი ნების ყველა ადამიანი დიდი შეშფოთებით აღნიშნავს, რომ იზრდება საერთაშორისო დაძაბულობა, ძლიერდება გამალებული შეიარაღება, მატულობს ბირთვული ომის საფრთხე. განსაკუთრებულ საშიშროებას ქმნის ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს განზრახვა — განალაგონ დასავლეთ ევროპაში საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტები, როგორც პირველი დარტყმის იარაღი. დასავლეთ გერმანიისა და ევროპის სხვა ქვეყნებში ამერიკული „პერშინგ-2“ და ფრთოსანი რაკეტების განლაგება, რასაც ასე გააფთრებით ესწრაფვის ვაშინგტონი, რისთვისაც იყენებს ნატოს მთელი რიგი სახელმწიფოების ლიდერების არათანამიმდევრულობასა და მხარდაჭერას, მხოლოდ გააძლიერებს დაძაბულობას მსოფლიოში.

ჩვენ მოვუწოდებთ პლანეტის ყველა ადამიანს ერთიანი ფრონტით გაილაშქროს გამალებული შეიარაღების ახალი გაძლიერების საფრთხის წინააღმდეგ.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, წინდის საწარმოო გაერთიანება „კრწანისის“ მემოტორე-მკერავი ნ. პანკოვა. მან მოუწოდა მსოფლიოს ყველა დედას გაერთიანდნენ, რათა შეაჩერონ გამალებული შეიარაღება, არ დაუშვან დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტების განლაგება.

— ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ჩვენს შვილებს საფრთხე არ ემუქრებოდეს, — თქვა მან. — მსოფლიოში ყოველ წუთს შეიარაღებისათვის იხარჯება მილიონობით დოლარი. ამავე დროს, ყოველდღე შიმშილის, გაჭირვების, ეპიდემიებისა და კონფლიქტების შედეგად იღუპება ათასობით ბავშვი. თავისი მილიტარისტული მისწრაფებების გამო რეიგანის ადმინისტრაცია არ ფიქრობს, თუ რა დამღუპველ შედეგებს მოუტანს კაცობრიობას ბირთვული ომი. მაგრამ არავის არა აქვს უფლება საფრთხე შეუქმნას ჩვენი შვილების სიცოცხლეს, კაცობრიობის ცივილიზაციის თვით არსებობას.

გვწამს, რომ ჯანსაღი აზრი გაიმარჯვებს, რომ ყველა კეთილ ნების ადამიანის საერთო მეცადინეობით შეიძლება შეაჩერონ გამალებული შეიარაღება, აღკვეთონ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციისა და ნატოელი გენერლების აღვირახსნილი მილიტარისტული ზრახვები.

სიტყვა ეძლევა ლენინური პრემიის ლაურეატს, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რექტორს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს ს. ხეჩინაშვილს.

— დღეს არ არის იმაზე მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე მშვიდობის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის ბრძოლა, — თქვა მან. — ამ თვალსაზრისით ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ბირთვული ომის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის, განიარაღებისა და მშვიდობისათვის ამ დღეებში მოსკოვში გამართული მეცნიერთა სრულიად საკავშირო კონფერენციის მნიშვნელობა. როგორც ყველა ჩემი კოლეგა, მეც მთლიანად და სავსებით ვუჭერ მხარს მთელი საბჭოთა მეცნიერების მიმართვას მსოფლიოს მეცნიერებისადმი, რომელშიც, კერძოდ, ხაზგასმულია, რომ არის მტკიცე ობიექტური საფუძველი იმისა, რომ შეიძლება შევაჩეროთ და კიდეც უნდა შევაჩეროთ გამალებული შეიარაღება.

— მშვიდობის უზრუნველყოფის კეთილშობილურ მიზანს ემსახურება საბჭოთა კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოების კონსტრუქციული პოლიტიკა, — განაცხადა პოეტმა რ. ამაშუკელმა. — უშიშროების განმტკიცებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის ვალდებულებას პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის იური ვლადიმირის ძე ანდროპოვის მიერ წამოყენებული ასეთი სამშვიდობო ინიციატივების, ასევე საბჭოთა ადამიანები, ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მტკიცე, უცვლელ კურსს, რომლის მიზანია მშვიდობის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობა, გამალებული შეიარაღების ალაგმვა.

ამას წინათ თბილისში გაიმართა რესპუბლიკის სტუდენტთა აქტივის კრება, რომელმაც მიიღო მომართვა მთელი მსოფლიოს სტუდენტებისადმი. კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ ბრძოლა მშვიდობის დაცვისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, აღნიშნა თავის გამოსვლაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ა. ბუაჩიძემ. საქართველოს სტუდენტობა, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის სტუდენტობა, შეშფოთებულია კაცობრიობის ბედით, ისწრაფვის თავისი წვლილი შეიტანოს მშვიდობისათვის ბრძოლაში. ჩვენი საერთო ამოცანაა არ მივცეთ უფლება 1983 წელი გადაიქცეს რაკეტების წლად. თუ არ იქნება მშვიდობა, ახალგაზრდობას მოესპობა თავისი უმთავრესი უფლება — სიცოცხლის უფლება. ჩვენ პროტესტის ხმას ვუჭერთ მშვიდობისა და განიარაღებისათვის ყველა მებრძოლს და ვსოლიდარობთ იმათ, ვინც დღეს ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ყველა ქვეყანაში ერთიანი ფრონტით გამოდის გამალებული შეიარაღების ახალი გაძლიერების საფრთხის წინააღმდეგ.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა თბილისის დაძმობილებული ქალაქის — საარბრიუკენის მცხოვრებლებისადმი, რომელიც წაიკითხა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ი. ლაღიძემ.

„საარბრიუკენის მცხოვრებნო! გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალგაზრდობავ! ჩვენ ხელს გიწვდით, — ნათქვამია მიმართვაში. — საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩვენ ხელს ვერ შეგვიშლის სხვადასხვა პოლიტიკური ან რელიგიური შეხედულებები. ჩვენი მთავარი ამოცანაა შევინარჩუნოთ ევროპის ცივილიზაცია და კულტურა, შევინარჩუნოთ სიცოცხლე ქვეყნად.

ბირთვული სიკვდილის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთად უნდა ვიყოთ!“. (საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ XIII ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ მატერიალური რესურსები, გავაძლიეროთ პარტიული გავლენა საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციაზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის გ. ვ. კოლბინის მოხსენებიდან

ამხანაგ გ. ვ. კოლბინის მოხსენებაში „საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ჩამოყალიბებულ დებულებათა და დასკვნათა მიხედვით ნედლეული, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების ეფექტიანი გამოყენების შემდგომი ამაღლების საქმეში“ აღინიშნა:

სკკპ XXVI ყრილობაზე ნამოყენებული იყო უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანა — ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს! ამ ამოცანის განხორციელება მოითხოვს განვითარების უპირატესად ინტენსიურ გზაზე სახალხო მეურნეობის გადაყვანის ყოველმხრივ დაჩქარებას, შექმნილი სანარმოო პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას, ყოველ სამუშაო ადგილზე მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმის დაცვას, პროდუქციის ნარმოებისათვის დანახარჯების მუდმივ შემცირებას.

პარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახული კურსი ყოველმხრივ განვითარდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოხსენებაში. ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებში მოცემულია დროის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობით სახალხო მეურნეობის მაღალეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის საპროგრამო დებულებანი. პლენუმმა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს მოსთხოვა გააანალიზონ მუშაობა სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე მომჭირნეობის რეჟიმის ყოველმხრივი გაძლიერებისათვის.

ამ მიმართულებით საქართველოს სს რესპუბლიკაში გარკვეული შედეგიანი ნაბიჯები გადადგა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის ამოცანა, უნინარეს ყოვლისა, ის არის, რომ მიღნეულის ობიექტური შეფასების საფუძველზე განსაზღვროს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების იმ მუშაობის სტრატეგია, ტაქტიკა და მთავარი მიმართულება, რომელიც უნდა გასწიონ მათ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ჩვენი მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსებისადმი მომჭირნე, ჭეშმარიტად მეურნეობრივი დამოკიდებულების უზრუნველსაყოფად.

მომჭირნეობის პრობლემებისადმი სისტემური მიდგომის საფუძველზე ყაირათიანობის კურსით მიაღწიონ ნარმოების ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას — აი, რა უნდა დავუსახოთ მიზნად დღეს რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს.

ᲛᲝᲛᲭᲘᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲐᲘᲠᲐᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲗ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ახლანდელი ეკონომიკური და სოციალური განვითარების დამახასიათებელი ნიშანია, ნათქვამია შემდეგ მოხსენებაში, საქართველოს კომპარტიის იმ სტრატეგიული კურსის თანამიმდევრული განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს საშუალო საკავშირო დონისაგან შედარებითი ჩამორჩენის დაძლევასა და მისი საერთო-ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი ზრდის უზრუნველყოფას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ბოლო ათწლეულის მანძილზე რესპუბლიკაში მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა 1,9-ჯერ და მეტად გაიზარდა და 1982 წელს 17 მილიარდ მანეთს გადააჭარბა. ამავე პერიოდში გაორკეცდა წარმოებული ეროვნული შემოსავლის მოცულობა და, რაც ყველაზე მთავარია, გამოიკვეთა საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდასთან შედარებით ეროვნული შემოსავლის უპირატესი ზრდის დადებითი ტენდენცია.

ეკონომიკური ზრდის ტემპის ყოველმხრივი დაჩქარების საფუძველზე მნიშვნელოვნად გადიდდა რესპუბლიკის წვლილი ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში. საქართველოს სს რესპუბლიკის წილი ქვეყნის ეროვნული შემოსავლის წარმოებაში ათწლეულის მანძილზე 1,3-დან 1,7 პროცენტამდე გაიზარდა, მათ შორის სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში — 1,2-დან 1,5 პროცენტამდე.

თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ფაქტორების გაძლიერების ტენდენცია, რომელიც ვლინდება, უწინარეს ყოვლისა, შრომის ნაყოფიერებისა და ფონდეტანგების ამაღლებით, ამავე დროს შემცირდა საზოგადოებრივი წარმოების მასალატევადობა.

ახლა ამოცანა ის არის, რომ დავამკვიდროთ დასახული ტენდენციები, კიდევ უფრო გავაძლიეროთ ზრდის ინტენსიური ფაქტორების ამოქმედება, განვავითაროთ ეკონომიკა რესურსების დაზოგვის მიმართულებით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე.

ეს უწინარესად მოითხოვს ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლებას, სახალხო მეურნეობის შეწონასწორებასა და პროპორციულობას, მისი დარგშორისი, დარგობრივი და რეგიონალური სტრუქტურის სრულყოფას, მისი სპეციალიზაციის უფრო მაღალ დონეზე ყვანას მრეწველობის პროგრესული დარგების, აგრეთვე აგროსამრეწველო კომპლექსისა და არასაწარმოო სფეროს უპირატესი განვითარების გზით.

ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ჩვენს რესპუბლიკაში უკვე შეძენილი გვაქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება. ბოლო ათწლეულში მრეწველობის ზვედრითი წილი ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში გაიზარდა 4,7 პუნქტით, ხოლო წარმოებულ ეროვნულ შემოსავალში — 7,1 პუნქტით. დაჩქარებული ტემპით ვითარდებოდა მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, რამაც ხელი შეუწყო ამ დარგის ხვედრითი წილის გადიდებას სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში.

მომხდარი დადებითი ძვრების მიუხედავად, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სტრუქტურა ჯერ კიდევ სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს, უმთავრესად, მანქანათმშენებლობის, ქიმიის, ელექტროენერგეტიკისა და ელექტრონიკის სპეციალიზებული და მეცნიერებათტევადი დარგების უპირატესი განვითარების გზით.

თითოეული ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრა ახლაც და შემდგომშიც მოითხოვს მნიშვნელოვან შრომითს, ფინანსურ და, რაც მთავარია, მატერიალურ დანახარჯებს. მაგრამ ეს რესურსები, როგორც ჩვენ ყველამ ვიცით, უსაზღვრო არ არის.

ასეთ პირობებში რესპუბლიკის ეკონომიკური, სოციალური და სხვა სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაჭრის მთავარი გზაა საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაცია, ამასთან ერთეულ საბოლოო პროდუქტზე ნედლეული, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების ხვედრითი დანახარჯების შემცირება.

რესპუბლიკის ეკონომიკის წინაშე მდგომი გადიდებული ამოცანები, აგრეთვე მისი ახლანდელი განვითარების ხასიათი და ტენდენციები განსაზღვრავს ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებს მატერიალური რესურსების დაზოგვის დარგში.

უწინარეს ყოვლისა, ეს არის სანედლეულო პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება. მეორე — საზოგადოებრივი წარმოების მასალატევადობის ყარი შემცირების უზრუნველყოფა. მესამე — სამეურნეო ბრუნვაში მეორეული რესურსებისა და წარმოებისა და მოხმარების ნარჩენების მაქსიმალური მოქცევა. ამ პრინციპების თანამიმდევრული რეალიზაცია უნდა ხორციელდებოდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ღონისძიებათა დაჩქარებული დანერგვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საფუძველზე.

დღეს შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ყველა სახეობის მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანი მართვის კომპლექსურ ღონისძიებათა რეალიზაციის შედეგად ჩვენს რესპუბლიკაში მასალების დაზოგვის გზით ეკონომიკის განვითარების კურსი მთლიანად წარმატებით ხორციელდება.

საქართველოს სს რესპუბლიკაში მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ტემპი სტაბილურად უსწრებს მატერიალური დანახარჯების ზრდის ტემპს.

კიდევ უფრო რთული და მასშტაბური ამოცანები უნდა გადაწყდეს მომდინარე ხუთწლედში. ამ პერიოდისათვის მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის მასალატევადობა უნდა შემცირდეს 2,9 პროცენტით, მათ შორის მრეწველობაში — 2,3 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში — 1 პროცენტით.

მეთერთმეტე ხუთწლედის ორი წლის მანძილზე მიღწეული შედეგები დამაიმედებელია, წარმოების მასალატევადობის შემცირების დავალება ძირითადად შესრულდა, უზრუნველყოფილია მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, ესე იგი მატერიალური წარმოების ყველა ძირითად დარგში ერთი მანეთის პროდუქციაზე მატერიალური დანახარჯების ზეგეგმითი შემცირება.

1982 წელს, მრავალი წლის მანძილზე პირველად, იყო უზრუნველყოფილი დადგენილ დავალებათა და ვალდებულებათა უმრავლესობის შესრულება.

დადებითი ძვრები მოხდა მეორეული ნედლეულის შეგროვებისა და გადამუშავების საქმეშიც.

1982 წელს მიღწეული შედეგების მეორხეთი მეორეული მატერიალური რესურსების გამოყენების გზით რესპუბლიკაში დაიზოგა დაახლოებით 33 მილიონი მანეთის ბირველადი ნედლეული.

ამავე დროს შარშან თავიანთ ვალდებულებებს თავი ვერ გაართვეს ცალკეულმა რეგიონებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა და დაწესებულებებმა.

ყოველივე ეს გარკვეულწილად იმითაც აიხსნება, რომ ბევრი სამინისტრო, უწყება, საწარმო, აგრეთვე ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მატერიალური დანახარჯების ეკონომიას, მეორეული რესურსების შეგროვებასა და გამოყენებას, მოქმედებენ პრინციპით — „გეგმა ყოველგვარი საშუალებით“, ეს კი, საბოლოო ანგარიშით, იწვევს წარმოების მასალატევადობის ზრდას როგორც ცალკეულ დარგებში, ისე მთლიანად სახალხო მეურნეობაშიც.

დამაფიქრებელია ისიც, რომ ზოგიერთი სამინისტრო საწარმოო პროგრამებში ითვალისწინებს მატერიალური დანახარჯების ზრდის უფრო სწრაფ ტემპს წარმოების დასახულ მოცულობასთან შედარებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ მეურნეობრიობის თანამედროვე პირობებში არ შეიძლება შეეფერებოდეთ ასეთ ვითარებას. საჭიროა ვიცოდეთ უბრალო ჭეშმარიტება — წარმოების მასალატევადობის გადიდება ქმნის დამატებითს სიძნელეებს სახალხო მეურნეობის რესურსებით უზრუნველყოფაში და, საბოლოო ანგარიშით, აფერხებს ეკონომიკურ და სოციალურ პროგრამებს.

ᲛᲝᲛᲭᲘᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ-ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝ-ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲛᲝᲪᲮᲐᲜᲐᲐ

ᲐᲜᲘᲭᲔᲑᲡ რა დიდ მნიშვნელობას ნედლეული, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თანამიმდევრულ მუშაობას ეწევიან მომჭირნე და ყაირათიანი მეურნეობრიობის პროცესების სისტემური მართვის სრულყოფისათვის.

ბოლო წლების მანძილზე ჩვენ შევიძინეთ იმის გვარიანი გამოცდილება, თუ როგორ განვამტკიცოთ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა ხელმძღვანელობის სხვადასხვა დონეზე და ყველა რგოლში რესპუბლიკისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემების გადაჭრაში საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევის მიზნით პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, ადმინისტრაციული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების მეცადინეობის კონცენტრაციის პრინციპის რეალიზაციის მეშვეობით.

ამ პრინციპის პრაქტიკულ რეალიზაციას უზრუნველყოფენ პარტიული კომიტეტების სამუშაო წახალისება და მათი ინიციატივის განვითარება.

შეიქმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა სახეობის მატერიალური რესურსების მომჭირნეობის საშუალო ჯგუფი, ჩამოყალიბდა ამ დარგში მუშაობის კონკრეტული მიმართულებების ცალკეული ქვეჯგუფები.

შარშან პრაქტიკულად პირველად ქვეყანაში სახელმწიფოებრივი წესით დაუწესდა მეორეული ნედლეულის დავალება რესპუბლიკის ყველა რეგიონს, ხოლო ცალკეულ დარგებს — გაფართოებული ნომენკლატურით. კონტროლს დაუქვემდებარდა არა მარტო მისი ტრადიციული სახეობანი, არამედ შავი და ფერადი მეტალურგიის, სამთომომპოვებელი, ქიმიური, კვებისა და მრეწველობის ზოგიერთი სხვა დარგის საწარმოთა ნარჩენებიც.

დადგენილმა წესმა უზრუნველყო, რომ მაქსიმალურად მოეცვა მეორეული ნედლეულის წარმოქმნის ყველა წყარო და გამოვლინა მისი დამზადების მოცულობის შემდგომი ზრდის პოტენციური შესაძლებლობანი.

ახალგაზრდა ჯგუფები შეიქმნა პარტიის ყველა საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტთან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა სახეობის მატერიალური რესურსის მომჭირნეობის საშუალო ჯგუფის საქმიანობა საუკეთესო საბოლოო შედეგების მიაღწევად მეცადინეობის კონცენტრაციის პრინციპის კონკრეტული რეალიზაციის დამაჯერებელი მაგალითია, როცა ერთ წელზე ნაკლებ დროში პრაქტიკულად დამთავრდა ყაირათიანი მეურნეობრიობის პროცესების მართვის საერთო-რესპუბლიკური ტერიტორიულ-დარგობრივი სისტემის ფორმირება.

დასახული და რეალიზებულია ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია სტატისტიკური საანგარიშმგებლო მოწესრიგება.

მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების საქმეში განუზომლად გაიზარდა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების როლი და ფუნქციები, ხაზგასმით აღინიშნა მოხსენებაში. ხელშუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობის ეფექტიანობას ბევრად განსაზღვრავს მათი მუდმივი კომისიების საქმიანობა. ახლა რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ხორციელდება სამეურნეო ექსპერიმენტები და სასიხარულოა, რომ პარტიულ კომიტეტებთან ერთად საბჭოები ასეთ თაოსნობათა ყველაზე აქტიური ინიციატორების როლში გამოდიან.

პრაქტიკა გვასწავლის, რომ დარგთმორისი კოოპერაციისა და ინტეგრაციის ბაზაზე საზოგადოებრივი წარმოების თანამიმდევრული ინტენსიფიკაციის, სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების პირობებში განუზომლად იზრდება მართვის რაიონული რგოლის როლი. თითოეული რეგიონი ხომ არა მარტო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული, არამედ რთული, მრავალდარგოვანი სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსიც არის. ამ კომპლექსის ყველა რგოლის დინამიკური განვითარება შეიძლება მხოლოდ მართვის ტერიტორიულ პრინციპებთან დარგობრივი პრინციპის უფრო რაციონალური შეზამების პირობებში.

დადებითს მაგალითებს შორის ამ თვალსაზრისით მომხსენებელმა მოიყვანა ქალაქ ფოთისა და რესპუბლიკის დედაქალაქის საქართველო რაიონის გამოცდილება. ქალაქ ფოთში, მაგალითად, მარშან წარმოების ნარჩენებისაგან გამოუშვეს 326 ათასი მანეთის პროდუქცია. საქარხნო რაიონში რაიაღმასკომთან შექმნილი გაერთიანების შუამავლობით ეკონომიის გზით პროდუქციის წარმოების ვალდებულებებს ერთობრივად გადააჭარბ ე ს. მ ო უ ვ ა ნ ი ი ყო აგრეთვე საქართველოს კომკავშირის, საკონტროლო ორგანოების, სხვა ორგანიზაციების მიზანდასახული საქმიანობის მაგალითი.

იმ პირობებში, როცა საქართველოს სს რესპუბლიკაში გაიშალა მნიშვნელოვანი მუშაობა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდების, მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის, აღინიშნა მოხსენებაში, სამეურნეო მექანიზმის მეტად მნიშვნელოვანი ბერკეტებია სოციალისტური შეჯიბრება, მატერიალური და მორალური სტიმულირება რესურსების ეკონომიისათვის.

მომჭირნეობის პირადი ანგარიშების საფუძველზე ეკონომიისა და ყაირათიანობისათვის ნამდვილი შრომითი მეტოქეობა ფართოდ გავრცელდა აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთისა და სხვა ქალაქების საწარმოებში.

ამავე დროს მომხსენებელმა ისიც აღნიშნა, რომ ყველა შრომითმა კოლექტივმა როდი დააღწია თავი ფორმალიზმსა და უსულგულობას ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის ორგანიზაციაში.

ამხ. კოლბინის მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო იდეოლოგიური მუშაობის როლის მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევის საქმეში. გარკვეული ყურადღება, აღინიშნა მოხსენებაში, ეთმობა რესპუბლიკაში იდეოლოგიური უზრუნველყოფის გაუმჯობესებას, იმას, რომ მასებს ჩაუნერგონ როგორც წარმოების სფეროში, ისე მოხმარების სფეროშიც ყველა სახეობის რესურსის გამოყენებისადმი ყაირათიანი დამოკიდებულების გრძნობა. ამ მიზნით ცენტრალური კომიტეტის დავალებით საქინფორმმა, საქტელერადიომ, რესპუბლ-

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

იკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა განახორციელეს სპეციალური საკოორდინაციო გეგმა. ამის შედეგად, გამოქვეყნებული მასალები უფრო მრავალფეროვანი გამოვიდა, მათში იგრძნობა მისწრაფება ახლებურად მიაწოდონ მკითხველს ინფორმაცია, იგი ფაქტებით უფრო აღსავსე, საინტერესო და ამავე დროს მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის უფრო გასაგები გახადონ.

ამავე დროს, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი უფრო აქტიურად და მიზანდასახულად უნდა ებმებოდნენ ბრძოლაში მფლანგველობისა და უყაირათობის ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ, პარტიული პუბლიცისტიკის მახვილი მიმართონ ხალხის დოვლათის ყოველნაირი დაცვისათვის, უფრო ღრმად ჩასწვდნენ ამ მიმართულებით მიმდინარე პროცესებს, პუბლიკაციებში თავიდან აიცილონ მოძველებული ფორმები და შტამპები, გამოიყენონ იდეოლოგიური შემოქმედების მდიდარი არსენალი.

ეფექტიანი მეურნეობრიობის, ბუნებრივი რესურსებისადმი, ნედლეულისა და მასალებისადმი უყირათანმა დამოკიდებულების ნამდვილი სკოლა უნდა გახდეს საპეციალური პავლიონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

მატერიალური დანახარჯვების შემცირება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფრინდარია

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საფუძველზე მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ყოველნაირი დაზოგვის, პროდუქციის მასალატევადობის შემცირების გზით საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება რესპუბლიკის ბევრი შრომითი კოლექტივისათვის მეურნეობრიობის წამყვანი პრინციპი გახდა.

მოხსენებაში ღრმად იყო გაანალიზებული მეცნიერებისა და წარმოების შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგები, ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სამეცნიერო, საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური დაწესებულებებისა და წარმოების მუშაკებმა მთელი თავიანთი მეცადინეობა უნდა მოახმარონ პროდუქციის რესურსტევადობის ყოველნაირ შემცირებას, რათა ეს მაჩვენებელი შეესაბამებოდეს საბჭოური და საზღვარგარეთული პრაქტიკის საუკეთესო ანალოგების დონეს.

პარტიული ორგანიზაციების ვალია ყოველნაირად შეუწყონ ხელი ამ მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანის გადაწყვეტას.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, მთლიანად რესპუბლიკაში ცუდი შედეგები როდია მიღწეული პროდუქციის მასალატევადობის, წარმოების დანახარჯების შემცირების სქმეში. მაგრამ ეს შედეგები გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ თითოეულ საწარმოში, მეურნეობაში თუ შშნებლობაზე, თითოეულ სამუშაო ადგილს ბრძოლა მოჰკიდრნეობისათვის, ნორმატიული ბაზის სრულყოფისათვის სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური ზრუნვის საგანი გამხდარიყო.

სამწუხაროდ, ცალკეული საწარმოები და ორგანიზაციები შეგნებულად ქმნიან მატერიალური რესურსების ერთგვარ ნამეტს ახლად ასათვისებელი პროდუქციისათვის და თავიანთ ზემდგომ ორგანოებში აღწევენ განგებ გადიდებული ნორმების დამტკიცებას. ასეთი გზით წარმოიშობა ხელოვნური „რეზერვი“, რომელიც შესაძლებლობას იძლევა შემდგომში შეამცირონ ნედლეულისა და მასალების ხარჯვა, წარმოების ეფექტიანობის რეალური ამაღლებისათვის სერიოზული მეცადინეობის გარეშე.

ჩვენში ჯერ კიდევ არის ბევრი შემთხვევა, როცა ერთნაირი ტექნოლოგიური დონის საწარმოებში ერთსა და იმავე პროდუქციაზე მტკიცდება ხარჯვის სხვადასხვა ნორმა.

ბევრი საწარმო და ორგანიზაცია წლების მანძილზე არ გადასინჯავს ხოლმე პროდუქციის გამოშვებაზე მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმებს, ან ამ ნორმების მეტ ნაწილს უცვლელად ტოვებს. მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი დანაკარგებია ხარჯვის ფაქტობრივად მიღწეულ ნორმებთან შედარებით გადიდებული ნორმების დამტკიცების გამო.

ჩვენს ცალკეულ საწარმოებში და შშნებლობებზე ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მანკიერი პრაქტიკა, რომლის დროსაც მატერიალური რესურსების ჩამოწერა ხდება არა ფაქტობრივი ხარჯის, არამედ მოქმედი ნორმების მიხედვით. ამის გამო ვერ დგინდება რეალური მდგომარეობა და, როგორც

(დასასრული 3-ე გვ.)

რაციონალურად გამოვიყენოთ ბუნებრივი რესურსები

საქართველოს მდიდარი მინერალური ნედლეულის ბაზა აქვს, აღნიშნა შემდეგ მომხსენებელმა. მის წიაღში არის ქვანახშირი და ნავთობი, მანგანუმი და ცეოლითები, პოლიმეტალები, საშენი და მოსაპრკეთებელი მასალის ნედლეული, დიდძალი სხვა სახეობათა სასარგებლო წიაღისეული, რომლებსაც დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს.

ყაირათიანად გამოვიყენოთ ყველა სახეობის ბუნებრივი რესურსები — ეს არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ამოცანაც არის.

ავიღოთ, მაგალითად, ქვანახშირი, რომელზეც მოთხოვნილება რესპუბლიკაში ახლაც და პერსპექტივაშიც მნიშვნელოვნად სჭარბობს მოპოვების დასახულ დონეს. ამავე დროს კარგად არის ცნობილი, რომ რიული სამთოგეოლოგიური პირობების გარდა, ახალ სიმძლავრეთა ამოქმედების დაგვიანების, არასრულყოფილი ტექნოლოგიის, აგრეთვე ორგანიზაციულ-ტექნიკური ნაკლოვანებების შედეგად წარმოიშვა ქვანახშირის დიდი დანაკარგები,“ იკლო მისმა მოპოვებამ და ყოველივე ამას მოჰყვა ქვანახშირის მომპოვებელი და მამდიდრებელი საწარმოების მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება.

შექმნილი მდგომარეობის კარდინალური გაუმჯობესების, რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის ეფექტიანობის ამაღლებისა და საბადოების რაციონალური დამუშავების უზრუნველყოფისათვის საჭიროა ამ დარგის ძირეული ორგანიზაციულ-ტექნიკური გარდაქმნა.

სათბობის მეორე სახეობაა ნავთობი, რომლის მარაგი ქვეყნის სხვა საბადოებთან შედარებით ჩვენში ნაკლებია. მიუხედავად ამისა, წლის მანძილზე მოვიპოვებთ და უნდა მოვიპოვოთ რამდენიმე მილიონი ტონა.

მაგრამ ნავთობის საბადოების დამუშავებაში არის ბევრი გადასაჭრელი პრობლემაც. უწინარეს ყოვლისა, ეს გახლავთ ნავთობის ამოღების დონეებისა და ჰაბტრ-ღილების მუშაობის რეგულირების ოპტიმიზაცია, დაზვერვისა და სამრეწველო მოპოვების ტექნიკის და ტექნოლოგიის სრულყოფის მთელი რიგი სხვა პრობლემები.

100 წელიწადზე მეტია გრძელდება საქვეყნოდ განთქმული ჭიათურის საბადოს ექსპლოატაცია. დამუშავების ხელშემწყობმა პირობებმა და მაღნის მაღალმა ხარისხმა განაპირობა მისი შედარებით მცირე თვითღირებულება.

მაგრამ ეს ფაქტორები დიდი ხნის განმავლობაში ვერ უწყობდა ხელს მანგანუმის მოპოვების ტექნოლოგიისა და ტექნიკის სრულყოფას, რასაც წარსულში ამ უძვირფასესი ნედლეულის უდიდეს დანაკარგები მოჰყვა. მაღაროებში ამჟამად გამოყენებული მოპოვების პროგრესული ტექნოლოგია უზრუნველყოფს მანგანუმის მაღნის ამოღების მაღალ პროცენტს. წარმატებით ინერგება წინათ გამომუშავებული ფარფლების ხელახალი დამუშავება დანაკარგების სახით დატოვებული მარაგის ამოსაღებად.

ამასთანავე ჭიათურის საბადოს რესურსების პოტენციალი ამოუწურავი როდია, და არცთუ ისე შორეულ მომავალში იგი შეიძლება დაიცალოს. ჩვენ კი სრულად არ ვიყენებთ მოპოვებისას დანაკარგების შემცირების შესაძლებლობებს. ვერ დაგვაკმაყოფილებს მექანიზებული კომპლექსების ბაზაზე საწმენდ სამუშაოთა მაღალეფექტიანი ტექნოლოგიის, მოპოვებული ნედლეულის ყველა ნაირსახეობის ცალ-ცალკე ამოღებისა და გამდიდრების ხერხების დანერგვისათვის მიმდინარე მუშაობის ტემპი.

საბადოს ექსპლოატაციის ესოდენ დიდი დროის მიუხედავად, ჯერაც არ არის საკმაოდ შესწავლილი მის წიაღში სხვა სასარგებლო და იშვიათი ელემენტების შემცველობის საკითხი, თუმცა ცნობილია, რომ აქ არის ცეოლითები, ქალცედონი და სხვა სასარგებლო წიაღისეული, რომლებიც თანამდევი მოპოვების ობიექტი უნდა გახდეს.

მნიშვნელოვანი ხარვეზებია დაშვებული მაღნეულის სამთო მამდიდრებელი კომბინატისა და კვაისის ტყვია-თუთიის მაღაროთა-სამმართველოს გადამმუშავებელ წარმოებათა ორგანიზაციის დროს.

ამასთან არის რეალური შესაძლებლობანი საიმისოდ, რომ ეს საწარმოები პრაქტიკულად უნარჩენო გახდეს. საკითხი ასე უნდა დაისვას — აქვს თუ არა აზრი გამოვითხოვოთ კაპიტალდაბანდებანი ეგრეთ წოდებული „სანარჩენო“ მეურნეობების გაფართოებისათვის, ნაცვლად იმისა, რომ ნარჩენებისაგან მარტივი ტექნოლოგიის მიხედვით დავამზადოთ სხვადასხვა საშენი მასალა, რომელთაგან წინასწარ ამოიკრება ფაფა და კეთილშობილი ლითონების შემცველი ძვირფასი კომპონენტები.

ჭეშმარიტად მზრუნველ, ყურადღებიან მიდგომას მოითხოვს სახალხო მეურნეობაში რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოპოვებული ისეთ სახეობათა უძვირფასესი სამთო ქიმიური ნედლეულის გამოყენებაც, როგორიც არის დარიშხანიანი მადანი, კალციტი, ცეოლითები, ანდეზიტი, დიატომიტი და სხვ.

ჩვენი სწავლულების, დამპროექტებლებისა და წარმოების მუშაკთა წინაშე დგას დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — დაამუშაონ ყველა სახეობის ნედლეულისა და მისი გამდიდრების თანამდევი პროდუქტების კომპლექსური გამოყენების, პრაქტიკულად უნარჩენო წარმოებათა ორგანიზაციის და ამ საფუძველზე სახალხო მეურნეობის მრავალი დარგის განვითარების საკითხები. იმ შრომითი კოლექტივების პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებზეც არის დამოკიდებული აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტა, უმკაცრესი კონტროლი უნდა დაუწესონ ყველა იმ საკითხს, რომლებიც მათს თანამიმდევრულ რეალიზაციას უკავშირდება.

რესპუბლიკაში მოსაპირკეთებელი მასალების მდიდარი და მრავალფეროვანი რესურსების არსებობის მიუხედავად, აღინიშნა მოხსენებაში, დღესდღეობით ვერ არის საკმარისი მათი გამოყენების დონე. ბუნებრივი მოსაპირკეთებელი მასალების წარმოების ზრდის შემაკავებელ მიზეზთაგან ძირითადია საბადოების უსისტემო ექსპლოატაცია მოპოვების ჩამორჩენილი, პრიმიტიული ტექნოლოგიის გამოყენებით, ქვის დამამუშავებელი საწარმოების მცირე სიმძლავრე და დაქსაქსულობა, მაღალეფექტიანი ქვის მომპოვებელი და დამამუშავებელი მოწყობილობის ნაკლებობა და სხვ.

ამჟამად რესპუბლიკაში სამშენებლო ქვის მოპოვებისა და დამუშავების საკითხებს უძღვება ბევრი სამინისტრო და უწყება, სავაჭრო ორგანიზაცია, საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა, რომლებიც მეტწილად ნაკლებკომპეტენტურნი არიან სამთო სამუშაოთა წარმოების საკითხებში, რასაც ხშირად შედეგად მოსდევს საბადოების მნიშვნელოვანი უბნების სამუდამო გაფუჭება, მარაგის აუნაზღაურებელი დანაკარგები, სახელმწიფო სახსრების, დეფიციტური მოწყობილობის დაქსაქსვა და, როგორც წესი, პროდუქციის დაბალი ხარისხი.

ბუნებრივი დეკორატიულ-მოსაპირკეთებელი მასალების მოპოვებისა და გადამუშავების ტექნოლოგიის ძირეული მოდერნიზაციის, წარმოების მნიშვნელოვანი ზრდისა და კონცენტრაციის, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, წარმოების განვითარების ოპტიმალური დაგეგმვისა და გამოყოფილი სახსრების რაციონალური გამოყენების მიზნით, რეგრეს ჩანს, მომწიფდა საჭიროება,გავატაროთ ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა იმ ღონისძიებათა კომპლექსის თანამიმდევრული განხორციელების გზით, რომლებიც ხელს შეუწყობს ბუნებრივი მოსაპირკეთებელი მასალების მოპოვებისა და გადამუშავების მდგომარეობის ძირეულ გაუმჯობესებას.

ამხანაგმა კოლბინმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ გაუმართლებლად იხარჯება მიწის ფართობები, განსაკუთრებით სახნავი და მრავალწლოვანი ნარგავების სავარგულები, სადაც საშენ და ინერტულ მასალებს აწარმოებენ მრავალრიცხოვანი პატარ-პატარა კუსტარული კარიერები და საწარმოები.

ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სამთო მომპოვებელი დარგის განვითარების და ტექნიკური განახლების ერთიანი მეცნიერულად დასაბუთებული გეგმის შექმნის, მინერალური ნედლეულის საბადოების რაციონალური და კომპლექსური ექსპლოატაციის განხორციელების, გარემოსა და წიაღის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უნდა შეიმუშაოს საქართველოს სს რესპუბლიკის სამთო მომპოვებელი მრეწველობის განვითარების ხანგრძლივი პერსპექტივის გენერალური სქემა.

არანაკლებ მწვავედ დგას რესპუბლიკის წყლის რესურსების განაწილების პრობლემა, რომლებსაც არ უსაკუთვლებენ მოსახლეობის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განლაგებას.

წყლის წყაროების დაცვა ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო პრობლემათაგანია, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას.

სახალხო მეურნეობის განვითარებას და ურბანიზაციას შედეგად მოსდევს გაჭუჭყიანების ახალი წყაროების გაჩენა, რაც დღის წესრიგში აყენებს წყლის რესურსების დაცვის ახალ ამოცანებს, რომელთაგან ძირითადია ნახმარი წყლების ხარისხისა და რაოდენობისადმი დაკვირვებისა და კონტროლის სისტემის გაფართოება და რაციონალიზაცია, სამრეწველო საწარმოებში მავნე ნარჩენების შემცირებისათვის ახალი ტექნოლოგიური პირობების დანერგვა, რისი საბოლოო მიზანიც უნდა იყოს წარმოების უნარჩენო ტექნოლოგიის უზრუნველყოფა.

დიდმნიშვნელოვან ეკოლოგიურ ფუნქციებს ასრულებენ საქართველოს ტყეები, და სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენში ტყეთსარგებლობა შეზღუდულია. ამასთან დაკავშირებით საქართველო განეკუთვნება დეფიციტურტყიან რესპუბლიკებს, რომლებსაც მასობრივად შემოაქვთ ხე-ტყე ქვეყნის სხვა რაიონებიდან. ამიტომ ჩვენთვის ახლა განსაკუთრებით მწვავედ დგას მერქნოვანი ნედლეულის რაციონალური გამოყენების პრობლემა.

ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გზად გვევლინება მერქნის, მეტადრე მაგარმერქნიანი ჯიშების ყველაზე სრული და რაციონალური გამოყენება, აგრეთვე ხე-ტყის სახერხებისა და ხის დამამუშავებელი საწარმოების მთელი ნარჩენების სამეურნეო ბრუნვაში მოქცევა.

მეცნიერულად დასაბუთებული ტყეთსარგებლობის პერსპექტიული განვითარების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს ტყეებში სხვადასხვა ჰაერბაგორის დანადგარების, სპეციალური ჯალამბრებისა და სხვა სამარჯვების დაყენებას. ერთობ აქტუალურად გვესახება დამუშავდეს ტყის ძნელად მისადგომი უბნებიდან საგერტმფრინავო მორთრევის გამოყენების ტექნოლოგია, რაც არ დაიერვევს მთის ტყეების სოციალურ-დამცავ ფუნქციებს. საქართველოს მთის ტყეების ხეტყის დამამზადებელი მრეწველობისათვის პერსპექტივაში დიდ ინტერესს იწვევს დირიჟაბლები.

ეკონომიური მეურნეობრიობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

როგორც ცნობილია, ამჟამად სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ყველა სახეობის 65 პროცენტზე მეტი საქართველოში სხვა რესპუბლიკებიდან შემოგვაქვს. მაგრამ უკანასკნელ წლებში მიმდინარეობს სათბობი რესურსების შემოტანის შედმეგი და მნიშვნელოვანი შემცირება, რაც იწვევს ელექტროენერგიისა და სითბოს გამომუშავების დეფიციტს.

ყოველივე ეს გვაიძულებს ვეძებოთ ახალი ადგილობრივი ენერგორესურსები, აგრეთვე დავიჭიროთ მზის, ქარისა და გეოთერმული ენერგიის გამოყენების სამუშაოები.

საქართველოს კლიმატური პირობები განსაზღვრავს ზედაპირზე მზის რადიაციის ერთობ მნიშვნელოვან მასშტაბს. საქართველოს მზის ენერგიის პოტენციური რესურსების განსაზღვრადაზუსტებისა და რაციონალური გამოყენების მიზნით საჭიროა შემუშავდეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მზის ენერგიის კადასტრი. უფრო ფართო გამოყენება უნდა პოვოს მზის ენერგიამ კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სოფლის მეურნეობაში, კვების და მსუბუქ მრეწველობაში. ეს განსაკუთრებით ეხება რესპუბლიკის ძნელად მისადგომ რაიონებს.

ელექტრობის გამომუშავებისათვის მზის ენერგიის გამოყენება უნდა შეეუზამოთ ქარის ენერგიის კომბინირებულ მოხმარებას.

იმ მიზნით, რომ ეფექტიანად და რაც შეიძლება მალე ავითვისოთ პრაქტიკულად რესპუბლიკის ენერგორესურსების სხვადასხვა სახეობანი, მომხსენებელმა დასახა ამოცანა შევამუშაოთ საქართველოს განახლებადი ენერგეტიკული რესურსების რაციონალური და კომპლექსური გამოყენების ხანგრძლივი პერსპექტივის გენერალური სქემა.

ამოვაქციოთ მეორეული რესურსები სახალხო-სამეურნეო გრუნვაში

მატერიალური წარმოებისა და მოხმარების სფეროს ნარჩენების მაქსიმალური და კომპლექსური მოქცევა სახალხო-სამეურნეო ბრუნვაში, ამ საფუძველზე მცირენარჩენიანი და უნარჩენო წარმოებათა ყოველმხრივი განვითარება უპირველესი მნიშვნელობის პრობლემაა. ბუნებრივი ნედლეულის მარაგის შეზღუდულობისა და მისი მოპოვების ღირებულების გაძვირების პირობებში, როცა განუხრელად იზრდება საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბი, ძნელია ჯეროვნად არ შეაფასო მეორეული ნედლეულის გამოყენების მნიშვნელობა. და ბოლოს, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაგროვება და გადამუშავება ერთ-ერთი არსებითი ასპექტია ეკოლოგიური პრობლემისა.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში ბევრი რამ კეთდება ამ საქმის სოლიდურ საერთო-სახელმწიფოებრივ საფუძველზე დაყენებისათვის. განხორციელდა და ხორციელდება დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი იმ სამსახურების ორგანიზაციულ-სტრუქტურული თვალსაზრისით გარდასაქმნელად, რომლებიც პასუხს აგებენ მეორეული რესურსების შეგროვებისა და გადამუშავებისათვის, აგრეთვე მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიის დასანერგავად.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სულ უფრო ფართო გამოყენებას პოულობს მეორეული ენერგორესურსები, რომელთა მოხმარების ხარჯზე მარტო შარშან 880 ათასი ტონა პირობითი სათბობი დაიზოგა. ამჟამად, მეორეული ნედლეულის დამზადების მოცულობის ზრდისათვის განხორციელებულ ღონისძიებებთან ერთად რესპუბლიკის ბევრ სამინისტროში, უწყებაში, გაერთიანებასა და საწარმოში მუშავდება და წარმატებით ხორციელდება ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საკუთარ წარმოებაში რესურსების მაქსიმალური გამოყენების შესაძლებლობებისა და რეზერვების გამოვლენა და ამ საფუძველზე გამოშვებული პროდუქციის მოცულობის გაზრდა.

გრძელდება სამუშაოები მეორეულ პროდუქტებში ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა აღმოჩენის, გამოყოფისა და შესწავლისათვის, ამ ნივთიერებათა მედიცინაში, სოფლის მეურნეობაში, კვების მრეწველობასა და მთელ რიგ სხვა დარგებში შემდგომი გამოყენების ხერხების შემუშავებისათვის.

მოსაწონია, რომ რესპუბლიკის ბევრი საწარმო, ძირითადად, კვებისა და ხორც-რძის მრეწველობის საწარმოები პრაქტიკულად უნარჩენო წარმოებაზე გადავიდნენ და ამასთან მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს.

როგორც ცნობილია, შავი მეტალურგია ერთ-ერთი ძირითადი დარგია მრეწველობისა, რომლის საწარმოებშიც წარმოიშობა ოდენაული ნარჩენები და მავნე ატმოსფერული გამონაფრქვევი. ამ ბოლო დრომდე გამოხაკლისს არც ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა შეადგენდა. ათასობით ტონა მტვერი, როგორც ყოველწლიურად წარმოიქმნებოდა მანგანუმის აგლომერატის წარმოებაში, კოლხეთის დაბლობის მთელ ტერიტორიაზე იფანტებოდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ამ საწარმოს თაობაზე მიღებული დადგენილები დასახულ ღონისძიებათა განხორციელებამ შესაძლებელი გახადა საკუთარ წარმოებაში თავისივე მეორეული ნედლეული მასალების გამოყენების გზით მარტო 1982 წელს დაეზოგათ 25 ათასი ტონა მანგანუმის ნედლეული, ხოლო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აგლოკაზმში ფეროშენადნობთა წარმოების წიდების გამოყენება სახალხო მეურნეობას ყოველწლიურად აძლევს დაახლოებით 40 ათას ტონა მანგანუმის კონცენტრატს. პერსპექტივაში ეს იმის ტოლფასია, რომ ჭიათურის საბადოს მადნის სანედლეულო ბაზა დაახლოებით ორ მილიონ ტონამდე გაფართოდეს.

ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ გადაიდგა დიდი ნაბიჯი ფეროშენადნობთა ქარხნის უნარჩენო წარმოებად გადაქცევისა და გარემოს მნიშვნელოვანი გაჯანსაღებისათვის.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა წარმოებს მეორეული ნედლეულის გამოყენების, მცირენარჩენიანი და უნარჩენო წარმოების განვითარებისათვის. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ დასაწყისია.

ჯერ კიდევ ვერ მძგვიწვეთა ძირეული გარდატეხისათვის მოსახლეობაში დაგროვილი ნარჩენების შეგროვების საქმეში. მრავალდ გვაქვს რეზერვები შავი და ფერადი ლითონების ჯართის შეგროვების ორგანიზაციაშიც.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, თქვა შემდეგ ამხ. კოლბინმა, უნდა განახორციელონ მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რათა გააქტიურდეს სახლთმმართველობებისა და საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების მუშაობა მოსახლეობაში საშმილისა და სხვა საყოფაცხოვრები ნარჩენების შეგროვების ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეში. ძირეულად უნდა გამოსწორდეს მოსახლეობის მიერ ჩაბარებული მეორეული ნედლეულის სანაცვლოდ მომეტებული მოთხოვნილების საქონლის მასტიმულირებელი ვაჭრობის ორგანიზაცია. სუსტად არის დაყენებული რეკლამა და მოსახლეობის ინფორმაცია. მრავალთაგან ეს რამდენიმე საკითხიც თუ არ გადაწყდა, მეორეული ნედლეულის დამზადების ბევრი რეზერვი შეიძლება გამოიყენებელი „ნორჩეს“ მნიშვნელოვანი რეზერვები აქვთ უმმაღ ჩვენს უწყებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

რესპუბლიკაში არის იმის რეალური შესაძლებლობანი, რომ ადიდდეს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება ცალკეული სამრეწველო დარგების წარმოების იმ ნარჩენებისაგან, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის მოქცეული გადამუშავებაში. არადა, სპეციალისტთა შეფასებით, ტექნიკურადაც და ეკონომიკურადაც მიზანშეწონილია გაიხსნას წარმოებანი, რომლებიც გამოუშვებენ ფართლეულს აგეჯის რბილი ელემენტებისათვის; ლინოლეუმსა და იატაკზე დასაგებ ფილებს — ხელოვნური ტყავის ნარჩენებისაგან; სამრეწველო წებოს და საკვებდანამატებს — ცხოველთა ძვლებისაგან; ფასონურ ნაკეთობებს, სუვენირებსა და ნაირ-ნაირ ბოთლებს — მინის ნალეწისაგან; მოზაიკურ და მოსაპირკეთებელ ფილებს — ქვის დამუშავების და კარიერების ნარჩენებისაგან; სხვადასხვა ნაკეთობებს — მერქნის, ხის დამუშავებისა და ხერხვის ნარჩენებისაგან; სათამაშოებს და სასწავლო დამხმარე საშუალებებს, აგრეთვე სპორტულ და ტურისტულ ინვენტარს — ელექტროტექნიკური, ელექტრონული, ხელსაწყოთსაშენებელი და სხვა დარგების ნარჩენებისაგან.

ჯერ კიდევ იშვიათი როდია შემთხვევები, როცა საწარმოთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტებით არ არის გათვალისწინებული ისეთი პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების გამოყენება, რომლებიც გამორიცხავს ან მნიშვნელოვნად აკლიერებს ნარჩენების წარმოშობას და მავნე ნივთიერებების გამოყოფას. ეჭვი არ არის, რომ აქაც საპროექტო გადაწყვეტებშიც სავალდებულო წესით უნდა მუშავდებოდეს ნედლეულის, წარმოშობილი და დაგროვილი ნარჩენების მზა პროდუქციად ან სხვა საწარმოებში შემდგომი გამოყენებისათვის გამოსაყენებელი ნახევარფაბრიკატებად კომპლექსური გადამუშავების საკითხები.

შესაბამისმა ორგანოებმა, უწინარეს ყოვლისა, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სახმომარაგებამ უნდა გააძლიერონ კონტროლი საწარმოთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტებში რესურსდამზოგველი გადაწყვეტების გამოყენებისათვის.

ამჟამად რესპუბლიკაში შემუშავებულია 1983-1985 წლების სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა პროგრამა, რომლის მიზანია მრეწველობაში წარმოშობილი წარმოების ნარჩენების ყოველი ღონისძიებით გამოყენება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია დაიხვეწოს ეს პროგრამა ამ პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად და უცილობლად მიაღწიოს იმს, რომ მეცნიერულმა ნამუშევრებმა პრაქტიკული გამოყენება პოვონ და შესაბამისი ეკონომიკური უკუგება მოგვცენ.

დასასრულ ამხანაგ გ. ვ. კოლბინის მოხსენებაში აღინიშნა:

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი რესპუბლიკის პარტიული კომიტეტების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამეურნეო, საგეგმო, საფინანსო და საკონტროლო ორგანოების უფრადღებას მიაპყრობს იმას, რომ მათი უშუალო და აქტიური მონაწილეობით შექმნილმა მატერიალური რესურსების ეკონომიისა და რაციონალური გამოყენების პროცესების მართვის რესპუბლიკურმა ტერიტორიულ-დარგობრივმა სისტემამ შესაძლებლობა მოგვცეს, განვსაზღვროთ ამ მიმართულებით მუშაობის შემდგომი სრულყოფის ძირითადი გზები.

ახლა ამოცანა ის არის, რომ ადგილებზე ავამოქმედოთ სამეურნეო შექანიზმის ყველა ბერკეტი, გამოვიყენოთ ნედლეულის, მასალის, სათბობისა და ენერგიის ყოველმხრივი ეკონომიის მთელი რეზერვები და შესაძლებლობანი, რაც საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების საიმედო წანამძღვარი გახდება.

* * *

ამხ. გ. ვ. **კოლბინის** მოხსენების გამო დაიწყო კამათი.

ჩვენი გეგმების რეალობას უზრუნველყოფს თითოეული გრამი ნედლეულის, დამხმარე მასალების, თითოეული კილოვატი ელექტრონერგიის ყაირათიანი, ეფექტიანი გამოყენება, საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის გზების ზუსტი განსაზღვრა, ამასთან ერთეულ საბოლოო პროდუქტზე მატერიალური დანახარჯების შემცირება. ეს აზრი მთავარი იყო პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში.

ჩვენი გეგმების რეალობა

— რესპუბლიკაში არასოდეს არ დასთმობია ასეთი დიდი ყურადღება რესურსების რაციონალურ გამოყენებას, მათს ნორმირებასა და მომჭირნე ხარჯვას, სამეურნეო ბრუნვაში წარმოებისა და მოხმარების ნარჩენების გამოყენებას, როგორც ახლა, — თქვა თავის გამოსვლაში რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ **ზ. ა. ჩხეიძემ.**

მეათე ხუთწლედის მანძილზე ერთ მანეთ საზოგადოებრივ პროდუქტზე (ამორტიზაციის გაუთვალისწინებლად) მატერიალური დანახარჯები ჩვენში 4,8 პროცენტით შემცირდა, რაც 392 მილიონი მანეთის მატერიალური დანახარჯების პირობითი ეკონომიის ტოლფასია. მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია პროდუქციის მასალატევადობის შემდგომი შემცირება.

მატერიალური და ნედლეული რესურსების დაგეგმვისა და ნორმირების კონკრეტული გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის უზრუნველყოფაში მათი როლის ამაღლების მიზნით, რესპუბლიკაში აღებულია ნორმატიული მეურნეობრიობის ერთიანი სისტემის შექმნის კურსი, რომელიც გააერთიანებს ნორმირების სამსახურებს დაგეგმვის ყველა დონეზე — საწარმოებით დაწყებული და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტით დამთავრებული. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უფრო პრინციპულად გადავწყვეტოთ მომჭირნეობის, ყაირათიანობის საკითხები.

შემდეგ ამხ. ჩხეიძემ განაცხადა, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის აპარატში შეიქმნა მეორეული ნედლეულის ნორმებისა და ნორმირების, დაგეგმვისა და გამოყენების განყოფილებანი, ხოლო სახელმწიფო გეგმებში შეტანილია სპეციალური განყოფილება: „მეორეული ნედლეულის გამოყენება“.

იმ დიდ სარგებლობას, რომელსაც მეორეული ნედლეული რესურსების გამოყენება გვპირდება, მოწმობს შემდეგი ციფრები: მათგან შარშან სახალხო მოხმარების საქონელი რესპუბლიკაში თითქმის 20 მილიონი მანეთისა დამზადდა, წელს კი დაგეგმილია გამოუშვან 50 მილიონი მანეთის საქონელი.

